



ვამტკიცებ

ბრძ. N01-33; 27.07.2018წ

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი
_____ ი. მანაშერიძე

ცვლილება

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის
ბრძ. N01-36; 15.08.2018წ;

ცვლილება

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის
ბრძ. N01-44; 01.10.2018წ;

ცვლილება

დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

საზოგადოებრივი კოლეჯი

საბაზო¹ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საფინანსო სერვისები

საკონტაქტო: თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. 8

ელ.ფოსტა: info@inrerbusiness.edu.ge

ტელ: 261 54 23; 260 54 23.

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ კუჭავა; პროგრამის თანახელმძღვანელი: თამარ სანიშვილი.

თბილისი

2018 წ.

¹ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა- საფინანსო სერვისები - Financeservices
2. სარეგისტრაციო ნომერი-რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა 04117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services²

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“, კოდი 0412, აღმწერი - „შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, ასევე კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს.“³

4. მიზანი - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალის მომზადება, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.⁴
5. დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები⁵
საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.
 - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 64, 64.1, 64.19, 64.92.0.
 - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 4312

² დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

³ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

⁴ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

⁵ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

7. სტრუქტურა და მოდულები

„საფინანსო სერვისების“ პროგრამა მოიცავს 6 ზოგადი მოდულს - ჯამური 16 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს 35 კრედიტის მოცულობით. საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **51 კრედიტი**

სტუდენტებისთვის რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **მოცულობა შეადგენს 51 კრედიტს** და სწავლის ხანგრძლივობაა 8 სასწავლო თვე (36 კვირა).

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და **მოცულობა შეადგენს 66 კრედიტს**, სწავლის ხანგრძლივობაა 11 სასწავლო თვე (12+36 კვირა);

არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	ინგლისური ენა ⁶	4
5	მეწარმეობა 1	2
6	სამოქალაქო განათლება	2
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	1
2	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	2
3	სერვისის პლუსი	1,5
4	სალაროს ოპერაციების განხორციელება	3,5
5	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება	4
6	ანგარიშის გახსნა-დახურვა	4
7	სწრაფი ფულადი გზავნილები	1
8	უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები	4
9	სადეპოზიტო მომსახურება	4
10	საკრედიტო პროდუქტები	2
11	დისტანციური საბანკო მომსახურება	1.5

⁶ ცვლილება ბრძ. N01-36; 15.08.2018წ;

12	სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი	3
13	საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	3,5

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებში;
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები;
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულის სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების დამცენიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

⁷ საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით,

⁷ დირექტორის ბრძ. N01-04; 8.02.2019 წ

თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. დანართი №1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

14. დანართი N2 -სასწავლო გეგმა⁸;

15. დანართი N 3- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ:

⁸ ცვლილება ბრძ. N01-44; 01.10.2018წ;

NN	სახელი, გვარი	მოდული, რომელსაც ახორციელებს	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება	შენიშვნა
1	ლიანა ბინიაშვილი	მეწარმეობა 1;	ფინანსისტ-ეკონომისტი; ინდ. მეწარმე.	
2	ალექსანდრე კეკელიძე	ინფორმაციული წიგნიერება 1;	ინჟინერიის დოქტორი	
3	ანი ტულუში	ინფორმაციული წიგნიერება 1;	ელექტრონული ინჟინერი	
4	ცოტნე ქორჩილავა	ინფორმაციული წიგნიერება 1;	სტუ-კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების მაგისტრანტი; ინფორმატიკის ბაკალავრი;	
5	თინათინკახნიაშვილი	ინგლისური ენა	თარჯიმან-რეფერენტი	
6	სოფიო კაკაურიძე	ინგლისური ენა	განათლების (მართვის) მაგისტრი; ინგლისური ენის ფილოლოგი.	
7	ირინე გეჭამე	ინგლისური ენა	ინგლისური ენის ფილოლოგი	
8	ელენე კაპანაძე	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირება	
9	ხატია ჭონქაძე	რაოდენობრივი წიგნიერება	მათემატიკის ბაკალავრი	
10	დადი ციხელაშვილი	სამოქალაქო განათლება	იურისტი	
11	ელისო ამცოლაძე	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებელი	
12	თამარ კუჭავა	ანგარიშის გახსნა-დახურვა; სწრაფი ფულადი გზავნილები; საკრედიტო პროდუქტები;	პროექტების მენეჯმენტი; პროფესიული გამოცდილება;	
13	ნინო კოპალიანი	სალარო ოპერაციების განხორციელება; ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები;	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; საბანკო საქმის მენეჯერი; პროფესიული გამოცდილება.	
14	ნონა ჭულუხაძე	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება; უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება; დისტანციური საბანკო მომსახურება; სადეპოზიტო მომსახურება;	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (საბანკო-საფინანსო საქმე)	
15	თამარ სანიშვილი	გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები; სერვისის პლუსი;	ბიზნესის და მართვის ბაკალავრი	

		საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები;		
16	თამარ შუბლაძე	სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი;	პროფესიული გამოცდილებით	
17	ლალი გილიგაშვილი	ქართული ენა A2;	ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.	

16. მოდულები

- (დანართი 4) –მეწარმეობა 1;
- (დანართი 5)- ინფორმაციული წიგნიერება 1 ;
- (დანართი 6)- ინგლისური ენა;
- (დანართი 7)– ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- (დანართი 8) –რაოდენობრივი წიგნიერება;
- (დანართი 9) - სამოქალაქო განათლება
- (დანართი 10)– სერვის პლუსი
- (დანართი 11)-ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები;
- (დანართი 12) -სალარო ოპერაციების განხორციელება;
- (დანართი 13)-გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები
- (დანართი 14)– საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები
- (დანართი 15)- ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება;
- (დანართი 16)- ანგარიშის გახსნა-დახურვა;
- (დანართი 17)– სწრაფი ფულადი გზავნილება;
- (დანართი 18)-უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება;
- (დანართი 19)-სადეპოზიტო მომსახურება;
- (დანართი 20)-სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი.
- (დანართი 21)-დისტანციური საბანკო მომსახურება
- (დანართი 22)-საკრედიტო პროდუქტები
- (დანართი 23)-ქართული ენა A2;